# airMAX AC მოწყობილობებისთვის უსაფრთხოების გათიშვა

შედგენილია 28.10.2026

პროგრამული უზრუნველყოფის 8.5.11 ვერსიაში შეიცვალა ქარხნული პარამეტრებისთვის უსაფრთხოების კონფიგურაცია 0000:0000 პაროლით, რომელიც იყენებს WPA2 AES შიფრაციას. ეს შეიძლება იყოს პრობლემა იმ მომხმარებლებისთვის და პროვაიდერებისთვის, რომლებიც არ იყენებენ უსადენო ქსელის უსაფრთხოების პარამეტრებს და არ დაემთხვეს კლიენტის მხარეს არსებულ კონფიგურაციას. უპაროლოდ მუშაობის საშუალება ამოღებულია ვებ კონფიგურაციის შემთხვევაში, ამიტომ გთავაზობთ ინსტრუქციას, როგორ მოხდეს უპაროლო ქსელის კონფიგურაცია CLI-ს შემთხვევაში.

1. დაუკავშირდით მოწყობილობას PuTTY-ის (ან რომელიმე ალტერნატიული პროგრამის) საშუალებით SSH-ის გამოყენებით.
2. შეცვალეთ /tmp/system.cfg ხელით, ბრძანებით:

   ```
   vi /tmp/system.cfg
   ```

3. საკვანძო მნიშვნელობა, რასაც ეძებთ, არის:

   ```
   aaa.status=enabled
   ```

4. შეცვალეთ მნიშვნელობა disabled-ით და შეინახეთ ფაილი: დააჭირეთ Esc-ს, შემდეგ ორჯერ Shift+Z-ს (ZZ) ან აკრიფეთ ბრძანება და დააჭირეთ Enter-ს:

   ```
   :wq
   ```

შედით სისტემაში web ინტერფეისის გამოყენებით და Wireless ჩანართში შეამოწმეთ, რომ უსადენო ქსელის უსაფრთხოების პარამეტრი არის disable.

გაითვალისწინეთ, რომ ზემოთ აღნიშნული მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია დაშვების წერტილზე მიერთებული კლიენტებისთვის უსაფრთხოების პარამეტრების დაშორებულად გასაწერად და საბოლოოდ WiFi ქსელისთვის პაროლის დასაყენებლად.